№ 158

ხუთშაბათი, 27 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 158

ხუთშაბათი, 27 ივლისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 26 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში იყო დანიშნული საჯაროდ ვაჭრობა იმავე ბანკში დაგირავებულის სოფლის 9 მამულისა. ამათში გაიყიდა 4, დარჩა 5. ხელმეორედ ვაჭრობა დარჩენილის ხუთის მამულისა დანიშნულია 9 აგვისტოსათვის.

*** 19 ამ თვისას წამხდარი გზა კავკასიის რკინის გზისა ტყიბულასა და ქუთაისის შუა გუშინ-წინ, 2 საათზედ, სრულიად გააკეთეს და მატარებლები ეხლა ყოვლის უმიზეზოდ დაიარებიან თავისს დროზედ.

*** თიანეთის მაზრის ს. ორხევში საქონელს რაღაცა უცნაური ჭირი გასჩენია. საქონელს ძალიან თურმე ჰხოცავს, როგორც ატყობინებენ გაზ. „ტიფ. ფურც.“-ს.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ, რომ მარტყოფის მონასტერში ერთის აკლდამის გაჭრის დროს აღმოჩენილა გამოქვაბული ადგილი ადამიანის ძვლებით სავსე. ახლა სხვაგანაც სჭრიან მიწასაო.

*** ქუთაისიდგან გვწერენ: პეტიპას დასის წარმოდგენებმა ჩინებულად ჩაიარა. ხალხი ყოველთვის მრავალი ესწრებოდა და დიდის თანაგრძნობით შეხვდებოდა ცოლ-ქმარ პეტიპას სცენაზედ გამოსვლას. რასაკვირველია, უმთავრესი ყურადღებით ხალხი ისმენდა „სან-ჟენის“ წარმოდგენასა.

*** თიანეთი: ამ თვის შუა რიცხვებში გვეწვია გრაფინა უვაროვისა, რომელმაც დაათვალიერა ერწოში სოფ. ბოჭორმის წმ. გიორგის ტაძარი, სოფ. ნადოკრის მეფე არჩილ მე-II ს სასაფლაო და ამ თვის 21 გაემგზავრა ფშავ-ხევსურეთისაკენ ძველის ნაშთებისა და ეკკლესიების დასათვალიერებლად.

*** იქიდამვე: ამ თვის 20-ს საღამოთი აქ მობრძანდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე. მეორე დღეს, 21 ივლისს, ადგილობრივ ეკკლესიაში წირვას დაესწრო მისი მეუფება და წირვის შემდეგ ეკკლესიაში თავ-მოყრილს საზოგადოებას მცირე მამაშვილური დარიგება მისცა და პატარებს ჯვრები დაურიგა. როგორც ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, ეპისკოპოსს ალექსანდრეს აღუთქვამს დახმარება აღმოუჩინოს მწირს ეფრემს, რომელსაც განზრახვა აქვს არჩილ მეფის სასაფლაო და ეკკლესია განაახლოს.

*** იქიდგანვე: თიანეთის საზოგადოებას მალე ეღირსება საკუთარი საზოგადო სავაჭრო ამხანაგობა. ამხანაგობის ერთი გამგეობის წევრი უკვე წავიდა ტფილისში საჭირო საქონლის მოსატანად. სრული ემედია ამხანაგობა მოქმედებას ამ ერთ კვირაზედ დაიწყებს. იმედი გვაქვს ამხანაგობის გამგეობა პირნათლად გაუძღვება ამ ახალს საქმეს, ჯეროვნად გაუმკლავდება ყოველგვარ მტერთ და საზოგადოებას ნათლად დაანახვებს სავაჭრო ამხანაგობათა ღირსებას და მნიშვნელობას.

*** სოფ. მეჯვრისხევი: ამ სოფელში ტფილისიდგან აგარაკად მოვიდა აქაური წმ. ბარბარეს შტატის ეკკლესიის მღვდელი იოსებ თეოფანეს ძე ჩიჯავაძე, რომელიც, როგორც ნამდვილს სულიერს მოძღვარს შეჰფერის, სწორედ ისე იქცევა. იგი გულ-მოდგინებით მეცადინეობს რაც კი შეიძლება უშველოს ყველა გაჭირვებულს ადამიანს. შეიტყობს თუ არა ავადმყოფია ვინმეო, მაშინვე ფიცხლად და დაუზარებლად მიდის, სინჯავს ავადმყოფს და აძლევს ყველას უსასყიდლოდ საჭირო წამლებს. აქაური მეჯვრისხევში მცხოვრები ხალხი ასეთ ქრისტიანულ ქცევისათვის ამ მოძღვარს დიდის გულ-მოდგინებით ლოცავს. ეს მოძღვარი თურმე წინად ფერშლად ყოფილა და დიდი გამოცდილებაც აქვს, როგორც ეტყობა.

## კორესპონდენცია.

**სენაკი.** დღეს, 24 ივლისს, მიაბარეს საფლავს თავ. დ. ე. დადიანი. დიდძალი ხალხი დაესწრო უდროოდ გარდაცვლებულის პატიოსანის მშრომელის დასაფლავებას. ქუთაისიდგან, ფოთიდგან და ბათუმიდგან რამდენიმე დეპუტაციები და გვირგვინები იყო გამოგზავნილი. მნახველები პირველად დ. დადიანის მამულისა გაოცებულნი იყვნენ, რამდენი უმუშავნია და რა რიგ კარგად მოუწყვია განსვენებულს თავისი მამული: მშვენიერი სახლ-კარობა, ბაღი, ვენახი, გაკაფული ტყე, არხები. ხალხი — ყველანი—ნათესავი, უნათესავო, მოყვარე, მტერი თვალ-ცრემლიანი მიჰყვებოდა მიცვალებულის კუბოს. დასაფლავების დროს სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის მოღვაწეობაზედ თავ. ნ. ტ. დადიანმა.

ა. —ძე.

## ჩრდილო-აღმოსავლეთ-საფრანგეთი და მისი მეურნეობა.

(საზოგადოება და მეურნე.—ერთი მიზეზთაგანი მეურნეობის წინ-წაწევისა.—სამეურნეო დაწესებულებანი.—სათესლეს მნიშვნელობა.—მაგალითი. სამეურნეო ჟურნალები, მათი სიიაფე და ერთი კარგი ხასიათი).

(შემდეგი).

აქ მეურნესა და საზოგადოების შორის დამაშორებელი უფსკრული გამქრალა. მეურნე საზოგადოებას შეერთებია. საზოგადოება მას პატივისცემით უყურებს; იგი გამხდარა ისეთივე წევრი საზოგადოებისა, როგორც ექიმი, ვექილი და სხ. მთავრობა ყველასთვის თანაბრად ზრუნავს. ის სიბნელე, რომელშიაც აქნობამდის მეურნე იყო გახვეული, დიდის სისწრაფით ჰქრება: მეურნე

## ფელეტონი

### მართლ-მადიდებელი ჰაჯი.

(ნამდვილი ამბავი).

თარგმანი

(ვუძღვნი ჩვენს სამღვდელოებას).

I

ზაფხულის საშინელი სიცხე იდგა. ამიერ-კავკასიის შუაგულს მდებარე თათრის დიდ სოფლის მცხოვრებნი ამ გვარს სიცხეს არ შესწრებოდნენ. სიცხისაგან დედა-მიწა მთლად დახეთქილიყო. შორიდგან სოფელი ამოწყვეტილს ადგილს წააგავდა. მთელი დღე სოფლის მრუდე და წვრილს ქუჩებზედ ადამიანს არ გაუჭაჭანია. სიმინდით, ფეტვით და სხვა კი ნახულით დათესილი მინდვრები მთლად იწოდა. საღამოთიც-კი, როცა მზე ჩადიოდა, სიცხის ბუღისაგან თავისუფალი სუნთქვა ძნელდებოდა. სოფლის მცხოვრები თათრები შიშმა შეიპყრო: ,,ალახი, გაგვიწყრა და ამაში დამნაშავენი გიაურები არიან''. იმეორებდნენ თათრები და სიბოროტისაგან გაშმაგებულნი სოფლის ბოლოს ათიოდე ქოხისაკენ გაიყურებოდნენ. სოფლის ბოლოს ამ ქოხებში სცხოვრებდნენ ტყვედ წამოყვანილი ქართველი გლეხები. ქართველები უკვე კარგა ხანი იყო რაც აქა სცხოვრებდნენ და თითქმის თვისს მწარე ხვედრს შეეთვისნენ კიდეც. ტყვე ქართველთა შორის იყო მოხუცი მღვდელი, რომელიც ყოველს ღონესა ღონობდა და ცდილობდა, რომ თვისი თანა-მოძმენი არ გათათრებულიყვნენ. პატარა სამწყსო მოხუცის რჩევას ისმენდა და ცდილობდნენ კიდეც—მღვდლის სურვილი არ გაეტეხნათ. მოხუცი მღვდელი წმიდათა ცხოვრება-ტანჯვას უამბობდა ხოლმე თვის თანამოძმეთ, ამხნევებდა და ამითი ცოტა არ იყო უადვილებდა სამშობლო მხარეს მოწყვეტილთ ტანჯულს და მწუხარე ყოფას; მოხუცი უმტკიცებდა ქართველებს, რომ ღმერთი მათ მოთმინება-ვედრებას შეისმენს და მომავალში უეჭველად სასურველს ბედნიერებას მიანიჭებს. მღვდლის დაუღალავი ქადაგება, მამობრივი სწავლა-დარიგება ტყვეთ მძიმე მონობის უღელს უმსუბუქებდა. მწუხარე შეურყეველი ცხოვრების მსვლელობით ტყვე ქართველების დაკოდილი გული ღვთისადმი ლოცვა-ვედრებაში-და ჰპოულობდა ნუგეშს.

ტყვე ქართველებმა კარგა ხანია რაც სამშობლოში დაბრუნების იმედი მთლად დაჰკარგეს, თუმცა მოხუცი მოძღვარი ამხნევებდა და ხშირად ეუბნებოდა, რომ დადგება დრო, როცა ისინი კვლავ თვისს საყვარელს საქართველოში დაბრუნდებოდნენ. მღვდლის სიტყვებს მწარე ღიმილით ისმენდნენ ქართველები, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თვის სამშობლოს აჰყვავებულს ველარ იხილავდნენ. ქართველები ორმოც-და-ათი კაცი იყო და საქართველოდგან სულ სამი დღის სავალზედ იყვნენ მოშორებულნი. მაგრამ მცირე მანძილიც-კი არ აიმედებდა ქართველებს, მით უფრო რომ მთელი გზა მათი სისხლის მწოვი მტერი თათრებით იყო დასახლებული. ეს დრო ყველა შუაგულ კავკასიის ქრისტიანეთათვის წამების და ტანჯვის ხანა იყო. სწორედ მაშინ სასტიკი მაჰმედ აღა აოხრებდა საქართველოს და ათასობით ქართველი ტყვედ მიჰყავნდა. მრავალი ტყვედ წაყვანილი მტარვალი მბრძანებლის სისასტიკეს ვერ იტანდა—მაჰმადიანთ სარწმუნოებას იღებდა და ამით მწარე ხვედრს თავიდგან იცილებდა, თუმცა დაცინვა-კილვას ვერც ამით იშორებდა თავიდგან. როცა-კი ერთს ოლქის უფროსს ბეგს შეატყობინეს, რომ თათრებს შორის მცხოვრებმა ქართველებმა ყოველივე ტანჯვა ვაჟკაცურად გადიტანეს და თვის სჯულს მტკიცედ იცავენო, მოხუცი ბეგი მოიღრუბლა, მხრები აიწია და თვისს მხლებლებს მიუბრუნდა.

— საკვირველი ხალხია! მზად არიან იტანჯონ მხოლოდ იმიტომ, რომ სარწმუნოება არ გამოიცვალონ. მე რომ მათ ადგილზედ ვიყო—სწორედ არც-კი დავფიქრდებოდი და სჯულს გამოვიცვლიდი, ისინი-კი სწორედ სულელები არიან. ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი, დიე ამოსწყდნენ.

მაგრამ... მარტოდ დარჩენილი მოხუცი მმართველი ქართველების სიმტკიცეს კარგად რომ ჩაუფიქრდებოდა, თავის-თავად ხშირად იტყოდა ხოლმე:

— უეჭველია, კარგი ხალხია, რომ ასე მტკიცედ იცავს თვისს სარწმუნოებას. ჩვენ ხომ მაგვარი ხალხი არა გვყავს! მართლაც რომ ვსთქვათ, განა იმათი სარწმუნოება ჩვენს სარწმუნოებაზედ ცუდია? არა, ის,—ის ვაჟკაცნი უნდა ვნახო, მერე თუ-მე სულ ორმოც-და-ათი კაცია!

ამ ფიქრებში იყო ოლქის მმართველი, როცა იმასთან შევიდა იმ სოფლის, სადაც ქართველები ცხოვრებდნენ, უფროსი მოლა.

— სალამ ალეიქ (ღმერთმა გაკურთხოს) მიესალმა მოლა უფროსს და ხელი შუბლსა და გულზედ მიიდო. მშვიდობა სახლსა ამასა.

— ალეიქ სალამ! უპასუხა ბეგმა და მოლას ხელი გაუწოდა. რას იტყვი ახალს, პატივცემულო სულეიმან? ჰკითხა ოლქის მმართველმა მოლას, როცა სულეიმანი ხალიჩაზედ მოკეცილი დაჯდა.

— მე თქვენთან გიახელით ბრძენო სელიმ! უპასუხა მოლამ, მოველ, რომ მფარველობა გთხოვოთ.

ოლქის მმართველმა თვალები გააჭყიტა და გაკვირვებით ჰკითხა:

— მფარველობას? განა ვინ გბრიყვობს? იქნება თქვენს სოფელს დაეცა ვინმე და ააოხრათ?

— სწორედ რომ აგვაოხრეს, უპასუხა მოლამ. ჩვენი სოფელი ქრისტიანებმა ააოხრეს.

— თქვენ თათრები ქრისტიანებმა ააოხრეს?! წამოიძახა გულ-მოსულმა მმართველმა, როდესაც თქვენ ათასამდე ხართ და ისინი-კი სულ ორმოც-და-ათი კაცი არიან, მერე ავადმყოფნი, და სნეულნი! არა, აქ რაღაც საიდუმლოა! თუ ღმერთი გრწამს მიხსენი რა გინდა მაგითი სთქვა.

მოლამ შუბლი შეიჭმუხნა და მოახსენა.

— მცირე მაქვს სათქმელი, ბატონო ბეგო. ჩემი სიტყვა სადა და უბრალო იქნება. შენ ჩვენზედ შორსა ხარ და სრულიად არ იცი, თუ ჩვენ რა ძლიერი [illegible] გვიწ[illegible] აგერ ორი თვეა. რაც წვიმა არ მოსულა და სიცხე აგრე ყოვლიდღე გვე[illegible]. ჩვენი ხალხი მთელი [illegible] და სახ[illegible] საქმე [illegible].

მმართველი რაღაც [illegible] თვალით შეჰყურებდა მოხუც მოლას, თითქოს მისის მეხსიერების შერყევას [illegible]; მოლამ [illegible] განაგრძო:

— ერთად-ერთი ჩვენი შველა [illegible] გიაურების [illegible] გაწყვიტე [illegible], თუ არა [illegible], ჩვენი ცხოვრება კვლა [illegible]. ხალხმა შენთან სათხოვნელად მე გამომგზავნა, რომ იმათის გაწყვეტის ნება დაგვრთო. [illegible], გინდა მერწმუნე გინდა არა, ამ ახლო ხანში ხალხი თვით მოახდენს [illegible]... ნუ მოგვაკლებ შენს მამობრივს ზრუნვას, მოგვეცი ნება... გაწყდება თუ არა გიაურების ხსენება—ჩვენც გავცოცხლდებით.

ოლქის მმართველი ჩაფიქრდა. მოლას ლაპარაკი აღარ ესმოდა. იმისი ფართო შუბლი შეიჭმუხნა და კეთილი სახე ბოროტებით შეემოსა. ძველს, თვისსავით ფანატიკოს მოლას სიტყვები ჭეშმარიტებად მიიღო და იმის ფიქრს მიეცა, თუ რა ღონე

გამოსულა ნათელს გზაზედ და ისევე იღვწის საზოგადო ასპარეზზედ, როგორც მისი დანარჩენი თანამემამულენი; საზოგადოებაც ყურადღებით თვალს-ყურს ადევნებს მის პატიოსან ძარღვის ცემას. სამეურნეო განათლება თავისს მოძმეებს გათანაბრებია. სამეურნეო სასწავლებლებს აღარ უყურებენ, როგორც გერს, როგორც „წყალ-წაღებული ჩალას“.

იქ სამეურნეო სასწავლებელში სწავლაზედ გულ აცრუებულს, სასწავლებლიდგან—სასწავლებელში გადასვლით დაღალულს და მშობლებისაგან მოძულებულს ბავშვს-კი არ აბარებენ, უკანასკნელის ბედის საცდელად, არამედ ისინიც ისეთივე საპატიონი შექმნილან საზოგადოების თვალში, როგორც სხვა საზოგადო განათლების სასწავლებლები; და თუ უპირატესობას არ აძლევენ, არც დაბლა აყენებენ. აქ იციან „მეურნე—მამამ“, რომ კაი მეურნე ისეთივე ფხიზელის ტვინისა უნდა იყვეს, როგორც ექიმი, მსაჯული და სხ., მას უყვარს თავისი „დედა მიწა“ და ცდილობს თავისს შემდეგ გონიერი პატრონი გაუჩინოს. ამითი აიხსნება რომ ამ ჟამად სამეურნეო მეცნიერებას სათავეში არა ერთი და ორი ნიჭიერი კაცი უდგა (შლესინგი, შულცი, გრანდო და სხ.), ვის მეოხებითაც ამ ბოლო დროს საფრანგეთის მეურნეობას საკვირველი პროგრესი ემჩნევა. მეურნე გამხდარა სრული მოზიარე კანონისა, უფლებისა და მეცნიერებისა. მის მდგომარეობის გასაკარგებლად მასა ჰყავს ბევრი თანაშემწენი: მთავრობის მიერ დაწესებულებანი და სპეციალური ჟურნალ-გაზეთები.

კაი მოსავლიანობის ერთს უმთავრესს პირობას თუ მეტეოროლოგიურმა მოვლენამ ხელი არ შეუშალა, სხვათა შორის, შეადგენს სათესლეს ვარგისობა: მისი სისაღე და მისი სიწმინდე (?) რამდენადაც სათესლეში რიცხვი მარცვლისა საღია, იმდენად იმედია, რომ იგი დაკარგული არ იქმნება — აღმოცენდება, სათესლეს უწმინდაობაზეა დამოკიდებული მავნე ბალახის მორევა ყანაში და ხვავის უვარგისობაც შემდეგში. ამ პირობას ყველასაგან დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. თუ მეურნე დარწმუნებული არ არის თავისს სათესლეს ვარგისობაში, იგი მას თავის დღეში უბრალოდ არ გადაჰყრის. საღს თესლს იყიდის და თავისას-კი სხვაფრივ გამოიყენებს. აქ მეურნეს „სათესლეს გამოსაცდელი სადგური“ ეხმარება. სათესლეს სავაჭროები მუშტრის მისაზიდავად თავისს საქონელს ამ უკანასკნელს ამოწმებინებენ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი შევიდა ეჭვში ნავაჭრის სისაღეში ან უწმინდობაში. რადგან ზოგი მავნე ბალახის თესლი იმდენად წვრილია, რომ მათი ცნობა უბრალო გადახედვით საკმარი არ არის, იგი უგზავნის „სადგურს“ და თუ მან სიყალბე აღმოაჩინა, მაშინ სავაჭრო სახლი საზოგადოების წინაშე იტეხს სამუდამოდ სახელს, რომელსაც ძნელად რომელიმე მათგანი გაბედავს.

მოინდომა-რა მეურნემ თავისს სახნავ მიწის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებების შეტყობა (ეს არის უმთავრესი წერტილი, საიდგანაც მეურნე იწყებს თავისს გონივრულს შრომას), იგი არ იგვიანებს და უგზავნის ადგილობრივ აგრონომიულს სადგურს მიწის ნიმუშს და „სადგურის“ პასუხის დაგვარად იგი ყიდულობს იმ ქიმიურს პატივსაც, რომელიც მისს მიწას ესაჭიროება. ლაბორატორიავე ეხმარება ყოველგვარ ქიმიურ კითხვების ახსნაში, სადაც ეს მეურნეს დასჭირდება; საჭიროა მისთვის მხოლოდ ნიმუშის გაგზავნ-გამოგზავნის და ცოტაოდენიც ლაბორატორიის სასარგებლო გარდასახადის ფასის გაღება.

მოისაჭიროვა მეურნემ რომელიმე სამეურნეო ცნობების ან კითხვების ახსნა—აქ მეურნეობის სამაზრო პროფესორები არიან მოვალენი დაეხმარონ რომელიც მოდიიან ამა თუ იმ სოფელში და ჰმართავენ საყოველთაოდ კომფერენციას.

არა ნაკლებ სამსახურს უწევენ ესრედ წოდებული გამოსაცდელი და სამაგალითო მინდვრები (Champs d'experiences et de démonstration). ისენი არიან დაარსებულნი ან სამეურნეო სასწავლებლებთან, ან განსაკუთრებით მათთვის ადგილას, ან კერძო მცოდნე მეურნეებისაგან. გამოსაცდელი მინდვრები, როგორც თვით სახელი გვიჩვენებს, მხოლოდ სცდიან ამა თუ იმ მცენარეს სხვა-და-სხვაგვარად შეზავებულს მიწაში, სხვა-და-სხვა ქიმიურ პატივის დახმარებით, სხვა-და-სხვა საშუალებით, ან ახეირებენ მხარისათვის სრულებით უცხოს, მაგრამ სარგებლიანს მცენარეს და სხ. სცდიან ყოველგვარს პირობებს, რომლებიც ამ დაწესებულების გამგეს წარმოუდგება ან საზოგადოდ აღძრული სამეურნეო კითხვები თხოულობენ. ეს ყოველგვარი გამოცდა-დაკვირვება, რასაკვირველია, შეცდომებს და უვარგისო შედეგებს არ არის აცილებული; ხშირად ისე უვარგისო შედეგებითაც-კი, რომ უბრალო მეურნეს ყური მოეკრა, უეჭველია, სამეურნეო მეცნიერებას დიდის ეჭვით შეხედავდა და სამუდამოდ დაჰკარგავდა მისს ნდობას. და რომ ეს ასე არ მომხდარიყო და მეცნიერების შრომას დროზედ სასურველი ნაყოფი გამოეღო, დაუარსებიათ სამაგალითო მინდვრები, რომლებიც არიან შუამავალნი მეცნიერებისა და მეურნეს შორის. ისინი ახორციელებენ მხოლოდ გამოსაცდელ მინდვრების საუკეთესო შედეგებს და ამით თვალ-წინ უყენებენ ეჭვიან მეურნეს სამეურნეო მეცნიერების სასურველს გამოკვლევებს. ამ ადგილას გამოცდას ადგილი აღარა აქვს. ესენი უნდა იყვნენ უნაკლულო მაგალითნი. ამ ხელით შესახებ და დღესავით ცხადმა მაგალითებმა ამ მოკლე ხანში გააკეთეს ის, რაც კაბინეტის მეცნიერებას, იქნება, საუკუნოებითაც ვერ გაეკეთებინა. ესენი არიან მიზეზნი, რომ ამ უკანასკნელს დროში ქიმიურ პატივის ხმარება საშუალო და პატარა მეურნეთ შორისაც-კი გახშირებულა, რის შედეგიც იყო მოსავლის შესამჩნევლად აღმატება შედარებით წინა წლებზედ *). მართლაც კაცი ძალიან ჯიუტი უნდა ყოფილიყო, რომ მამულის ახალ სისტემით შემუშავების სარგებლობას არ მიხვედრილიყო. იმ დროს, როცა სამაგალითო მინდვრებს 25—3035 ჰექტლიტრი მოსავალი ჰქონდა თითო ჰექტარზედ, იქვე გვერდით მამა-პაპურად შემუშავებულ მიწის მოსავალი 10—12 ჰექტოლიტრს არ აღემატებოდა. ამ მაგალითის პირის-პირ მნახველს მეურნეს განა ეჭვი-ღა შეეპარებოდა? და, რასაკვირველია, თუ შეძლება მისდევდა, დაუყოვნებლივ მიჰბაძავდა მას. ასეც მომხდარა მორტ-მოზელის დეპარტამენტში და განსაკუთრებით ქ. ნანსის მახლობლად მყოფ მეურნეთა შორის. მათე დომბალის სამეურნეო სასწავლებლის გამოსაცდელ და სამაგალითო მინდვრებს მიუძღვით ამ მხრივ დიდი სამსახური, უფრო-კი ქიმიურ პატივის ხმარების მხრივ. ამ უკანასკნელის ხმარება აქეთკენ ისევე ჩვეულებად გადაქცეულა, როგორც საქონლის სასუქისა. ამას ხელს უწყობს ერთი ქიმიურ პატივის ადგილობრივ იაფად შოვნა, რომელსაც რკინის გადნობის დროს იძლევა (Scories de déphosphoration).

სამეურნეო იარაღების გამოსაცდელი სადგურები გარდა იმისა, რომ სცდიან ახლად გამოგონილს მანქანებს, სცდილობენ აგრეთვე, რომ მეტად რთული და ძვირი მანქანა გააუბრალონ, ამა თუ იმ მხარის პირობების დაგვარად გადააკეთონ, ხალხისათვის ადვილად საშოვნელი და ადვილად სახმარებელი გახადონ, გაამრავლონ სათემოდ გახადონ.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობას მეურნეობის სასურველს გზაზედ დაყენებისათვის ეს ზემოხსენებული საშუალებანი და კიდევ სხვანი არ უკმარია. არ არის საკმარისი, რომ მეურნეობის დედა აზრი მხოლოდ იმ საზოგადოების ნაწილის კუთვნილება იყოს, რომელიც მეურნეობასთან ხელ-ჩაკიდებულია. არამედ საჭიროა, ყველა, მთელი ერი იყოს მასში მოზიარე, საზოგადოების ძარღვებში უნდა იყოს გატარებული. ეს აზ-

*) საფრანგეთში 1816—1820 წ. თითო ჰექტარზედ 10 ჰექტოლიტრი პური მოდიოდა.
1851—1860 წ. თითო ჰექტარზედ 13, 99 ჰექტოლიტრი პური მოდიოდა.
1861—1870 წ. თითო ჰექტარზედ 14, 28 ჰექტოლიტრი პური მოდიოდა.
1871—1880 წ. თითო ჰექტარზედ 14, 60 ჰექტოლიტრი პური მოდიოდა.
1881—1885 წ. თითო ჰექტარზედ 15, 77 ჰექტოლიტრი პური მოდიოდა.
1885—1892 წ. თითო ჰექტარზედ 16, 80 ჰექტოლიტრი პური მოდიოდა.
და დღეს ამ უკანასკნელს რიცხვს აღემატება.

---

ელონა გიაურების წინააღმდეგ. იმათი დახოცვა არა ღირდა, ორმოც-დაათის კაცის თვის მონებად გარდაქმნა სჯობდა... მაგრამ აქაც რომ ისეთივე ამბავი მომხდარიყო? მოიფიქრა უფროსმა და გარდასწყვიტა კიდეც.

— რაც გინდათ ის უყავით... დეე, დაიხოცნენ! ეს ყოვლად შემძლებელის ალახის ნებაა...

გახარებული მოლა ზეზე წამოვარდა და მმართველს მოწიწებით ხელები დაუკოცნა.

— გაკურთხოს ალახმა, წამოიძახა მოლამ. ძნელი გამოცანა აგვიხსენი ჩვენ! ხვალ დავბრუნდები სახლში და ბოლოს მოვუღებთ კერპ გიაურებს.

სთქვა ეს და მოლას სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს დიდს ბრძოლაში გაიმარჯვაო.

მოლასავით გიაურები არავის ეჯავრებოდა. საშინელი გვალვა თათრების მიწა-წყალში ქრისტიანეთა ყოფნას მიაწერა და ხალხსაც ისე აგონებდა, რომ ყველაფერში დამნაშავე გიაურები არიანო; ალახიც სწორედ იმიტომ არის მათზედ გამწყრალი. იმიტომ სტანჯავს მართლ-მორწმუნეთ, რომ იმათ აქამდის არ ამოსწყვიტეს გიაურები. მოხუცს სულეიმან ქართველებისადმი საშინელი ზიზღი აღეძრა მღვდელთან საუბრის შემდეგ.

სულეიმანი თავის თავს მღვდელზე ჭკვიან და განათლებულად სთვლიდა და მტკიცე გარდაწყვეტილებით წავიდა მღვდელთან, რომ მაჰმადიანთა სარწმუნოებას მიაღებინებდა. მოლას მოსვლა თუმცა არაფრად ეჭაშნიკა მოხუც მღვდელს, მაინც სტუმარი სიამოვნებით მიიღო. სტუმარ-მასპინძელმა საუბარი გააბეს. სულეიმანმა პირველშივე იგრძნო, რომ ნიადაგი ეცლებოდა.

მოხუცმა მღვდელმა თავისი საქმე ძლიერ კარგად იცოდა და თავის ყოველს სიტყვას მაგალითებით ამტკიცებდა. მოლას ხმა ვეღარ ამოეღო, ხელცარიელი დაბრუნდა, და ქრისტიანების ხვედრიც გადასწყდა.

— უნდა დაიხოცნენ, ფიქრობდა სულეიმანი. ბებერო ძაღლო, მე გიჩვენებ, თუ როგორც უნდა ჩემთან ბაასი. მალე გაიცნობ, თუ ვინც არის სულეიმანი!..

ამის შემდეგ მოლას ზიზღს საზღვარი აღარა ჰქონდა და ყოველს ღონეს ღონობდა პირველისავე შემთხვევით ესარგებლნა და მთლად ამოეწყვიტა ქრისტიანები: როცა ოლქის მართველის ნება-რთვა აიღო, სულეიმანი გახარებული დაბრუნდა სახლში და ათას გვარი ავი ფიქრი უტრიალებდა თავში. მისი სული უვიცობის წუმპეში იყო ამოვლებული და ამიტომ ფიქრობდა, რომ ქრისტიანეთ გაწყვეტით ალახს დიდს სამსახურს გაუწევდა. დიდის ფიქრის შემდეგ ბოლოს ერთი აზრი შეადგინა და გარდასწყვიტა კიდეც სახლში მოსვლის უმალ ამ აზრის აღსრულებას შესდგომოდა.

მოლას სახე ზიზღით და სიმრუშით შეენოსა და სიბრაზით აღშფოთებული რაღაცას ბუტბუტებდა.

სოფელს რომ მიუახლოვდა, სულეიმანს შემოესმა თავის თანაშემწე მუეზინის ხმა, რომელიც მართლ მორწმუნეთ სალოცავათ იწვევდა.

— ალახის ხალხო! ლოცვისათვის შეიმოსენით! დრო უკვე მოვიდა, მიწიერი დარდი დაივიწყეთ, რადგან შვებას მხოლოდ წმიდა ლოცვაში ჰპოვებთ. მოციქულის სადიდებლად დეე დაიღუპნენ გიაურები! დარდი არა გვქონდეს ჩვენ! ყველამ ერთად მხურვალედ ვილოცოთ, რომ ალახმა გიაურებს თვისი რისხვა მოავლინოს.

— ამინ! წაიბუტბუტა მიმავალმა მოლამ და სოფელში შევიდა.

II

მეჩეთთან თითქმის მთელი სოფლის მამაკაცები მოგროვდნენ. ახლად მოსული მოლას განკარგულებით რამდენიმე კაცი ხალხის შესაკრებად წავიდა.

— სულეიმანმა რაღაცა უნდა შეგვატყობინოს! ეუბნებოდნენ გაგზავნილები ხალხს და ერთი სახლიდამ მეორე სახლში მიდიოდნენ.

სოფლელებმა იცოდნენ, რომ მოლა ოლქის უფროსიდამ დაბრუნდა და ცნობის მოყვარეობის გამო მეჩითისაკენ მიეშურებოდნენ იმ იმედით, რომ რაიმე ახალი ამბავი შევიტყოთო. ხალხს იმედი არ გაუცრუვდა, სულეიმანმა ხელით ანიშნა შეკრებილს ხალხს გაჩუმებულიყვნენ. ხალხი გაინაბა და მოლამ დაიწყო.

— გაიხარეთ, მართლმორწმუნენო! ალახმა გვიდღეგრძელოს ჩვენი მმართველი! ნება დაგვრთო, როგორც გვნებავს, ისე მოვეპყრათ გიაურებს; იმან თვისი მონები შეიბრალა და ჩვენი მდგომარეობა შეიგნო. ხალხში სიამოვნების გმინვა მოისმა, ამ ამბავმა ყველა გაახარა და უნებლიედ მთელი ხალხი ზიზღით გახედა სოფლის იმ ნაწილისაკენ სადაც ქრისტიანები ცხოვრებდნენ.

ჩვენი მინდვრები იღუპება! განაგრძო მოლამ, აუცილებელი შიმშილი მოგველის და მე არ მინდა უბედურება ჩემს თავზე ვიკისრო; მაგრამ მინამ იმათ გავწყვეტავდეთ, მინდა ისინი გამოვცადო, ჩემო მეგობრებო! ხვალ დილით მინდორზედ შევიკრიბნეთ სალოცავათ. უკეთუ ყოვლად შემძლებელი ალახი ჩვენს ვედრებას შეისმენს, გიაურები გადარჩებიან და თუ არა, მაშინ თვით გიაურებიც ვალოცოთ და შემდეგ გავანადგუროთ. მართლმორწმუნენო, თანხმა ხართ?

— შენ ჩვენზედ ჭკვიანი ხარ და როგორც გინდა, ისე მოიქეც შეჰყვირა ხალხმა მოლას.

მოლამ ხალხს თავი დაუკრა და კვლავ განაგრძო.

— ნდობისათვის გმადლობთ მეგობრებო! თქვენც კარგად იცით, მე მხოლოდ იმიტომ ვცოცხლობ, რომ თქვენი ცხოვრება უკეთესად მოვაწყო, მე მოხუცდი და არც არავინ მაბადია. ჩემთვის სულ ერთია და კარგა ხანია მზათაცა ვარ, ყოვლად შემძლებელი ალახის წინ წარვსდგე. კერძოდ მე არაფერი მინდა და რაც-კი მაბადია, ისიც თქვენია. მე მხოლოდ იმასა ვცდილობ, რომ ჩვენს სოფელს წინანდებურად დარდი არა ჰქონდეს. მაგრამ გიაურები გვიშლიან, არ უნდა ირწმუნონ დიდებული მოციქულის სწავლა—მაშ დეე, გასწყდნენ.—სიკვდილი გიაურებს, სიკვდილი! ერთხმად შეჰბღავლა აღელვებულმა ხალხმა. მოლას რომ მოენდომებინა, სიტყვა დაეძრა, გაafთრებული ფანატიკოსთა გროვა ერთ წუთს გაანადგურებდა ქრისტიანებს, მაგრამ მოლა მართლის მოყვარე კაცი იყო.

მინამ გიაურების გაწყვეტას შეუდგებოდა, კიდევ უნდა რაიმე ეცადნა და ხალხთა უბედურება თავიდამ აეცდინა. სულეიმანმა ყორანი კარგად იცოდა; იცოდა, რომ ყორანში ქრისტიანეთა გაწყვეტაზედ არაფერი იყო ნათქვამი: საჭირო იყო მხოლოდ გიაურთა შორის მაჰმადიანთ სარწმუნოების გავრცელება და არა ხალხის გაწყვეტა.

ხალხი დაიშალა. სულეიმანი და იმისი თანაშემწე მუეზინი სახლში არ წავიდნენ, მარტოდ დარჩენილი სულეიმანი სამლოცველოში შევიდა. სამლოცველოში საშინლად ბნელოდა.

— ოხ! ყოვლად შემძლებელო ალახო! წამოიყვირა მოლამ და მუხლებზედ დაეცა. აპატიე მონასა შენსა! ამ მხურვალე სიტყვებით სულეიმანმა შუბლი ცივს იატაკს დააყრდნო.

მის განმარტოებას არაფერი არყევდა და ისიც მხურვალედ ლოცულობდა. მის სასტიკს გულში ჯერ კიდევ მთლად არ აღმოფხვრილიყო კეთილ გრძნობათა კვალი. სულეიმანი გრძნობდა, რომ ქრისტიანებს უბრალოდ ღუპავს და თათრების უბედურებაში ქრისტიანებს არავითარი დანაშაული არა ჰქონდათ, მაგრამ პატარაობიდ-

რი ყოველ გვარ საშუალო სასწავლებლებში სამეურნეო კურსების შემოღებით საფრანგეთს განუხორციელებია.

გაუადვილა-რა მთავრობამ და თვით საზოგადოებამ მეურნეს სხვა-და-სხვა პირობანი და დაბრკოლებების აცილება მის მიწათ-მოქმედების წინ-წასაწევად, საჭირო იყო კიდევ მისი გამხნევება და წაქეზება. გახშირა ნაციონალური (მთელი საფრანგეთისთვის) და კერძო (Régioual) სამეურნეო გამოფენები, სადაც იგი ჯილდოვებს საუკეთესო ნიმუშებს და აქეზებს მეურნეს პროგრესის გზაზედ. (თვე არ გავა, რომ ორი თუ არა ერთი კერძო გამოფენა მაინც არ იყოს).

რაც შეეხება სამეურნეო ლიტერატურას, იგი სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, და ამაზედ ლაპარაკი მეტად მიმაჩნია. ის ათასნაირი გამოკვლევები, საზოგადო სამეურნეო ჟურნალები და პატარ-პატარა იაფ-ფასიანი ან სულ უფასო ბროშიურები, რომლებიც სხვა-და-სხვა საგნებს შეეხებიან (მცენარის ავადმყოფობა და მათი წამლობა, პატივის ხმარება, სასუქის მოვლა, მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლა და სხ.) რომ არ ჩავთვალოთ, აქაურს მეურნეს აქვს აგრეთვე რამდენიმე სპეციალური ჟურნალიც სხვა-და-სხვა მეურნეობის ნაწილისა (მევენახეობისა, ბაღოსნობისა და სხ.). ერთი ღირს-შესანიშნავი ხასიათი ამ ჟურნალებისა ისაა, რომ აქვთ ესრედ წოდებული საკორესპონდენციო ნაწილი. ეს ნაწილი განსაკუთრებით მკითხველის პასუხებისთვის არის გადადებული. რედაქცია გულმოდგინედ აძლევს პასუხს ყველას, მიუხედავად ხელის მომწერელია მკითხველი, თუ მხოლოდ უბრალო მკითხველი. გსურთ მაგალითად იყოლიოთ კაი ჯიშის საქონელი, ან შეიტყოთ თქვენის ღვინის გაფუჭების მიზეზი, ან წამლობა ამა თუ იმ მცენარის ავადმყოფობისა, ან გსურთ რომელიმე საგნის საუკეთესო წიგნის ყიდვა და სხ. ეკითხებით რედაქციას და ისიც გიპასუხებთ. ამ ჟურნალების სიიაფე ხელს უწყობს უმრავლესობას მის შეძენას. (ღირს 5 ფრანკიდგან (ორი მან.)—20 ფრანკამდის წელიწადში).

აი, ამგვარია ის საშუალებანი და გარემოებანი, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება საზოგადოდ საფრანგეთისა და კერძოდ ამ მხარის მეურნე. თუ როგორ ხმარობს და როგორ სარგებლობს ის ამითი, ამაზედ ლაპარაკი შემდეგისთვის დარჩეს.

ნ. ა—ლი.

ქ. ნანსი.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

—

ტომსკის ეპისკოპოსმა ადგილობრივ კონსისტორიას მისცა შემდეგი წინადადება შესახებ თავისს-მკვლელთა: თუ მღვდელი დარწმუნდა, რომ თავის მკვლელი ჭკუაზედ არ იყო შერყეული, მას შეუძლია მისცეს ნება თავის-მკვლელის პატრონებს, საცა უნდათ იქ დაასაფლავონ მიცვალებული, იგალობონ „წმიდაო ღმერთო“, როდესაც მიაქვთ გვამი დასასაფლავებლად და გარდაიხადონ მოკლე ლიტურგია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ლონდონის გაზ. „სტანდარდ“-ში, რომელიც ახალის პირველის მინისტრის ორგანოდ ითვლება, დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც აღნიშნულია მოკლედ ლორდის სოლსბერის პოლიტიკა სომხეთის შესახებ. გაზეთი პირველად დიდად ჰნანობს, რომ როზბერის კაბინეტი მეტად სანტიმეტალურად მოიქცა და ორის საეჭვო მოკავშირეთი (რუსეთი და საფრანგეთი) კამპანია შეადგინა ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგოთ. მერე-კი ამბობს:

მარკიზ სოლსბერი როზბერის მიერ შემოწმებულ და კემბერლეის ხელ-მოწერილ დეპეშებით არის შებოჭვილი. ამ რიგად მაშ ახალი კაბინეტი ასე მალე ვერ დაიწევს უკან. სოლსბერი უსათუოდ თხოულობდა სომხეთში რეფორმების შეტანას. ევროპას ჰგონია, სომხეთისათვის უკეთესი იყოს პირდაპირ სტამბოლიდგან ჰმართავდნენ მისს საქმეებს, ვიდრე მიეცეთ რაღაცა უსულო კანონები, რომელსაც სახელმწიფოები თხოულობენ და რომლის მიცემასაც სულთანი დიდის უკმაყოფილებით დასთანხმდებაო. ამ საქმეში უთუოდ მოთმინებაა საჭირო, თორემ ამგვარს საძნელო საქმეში ერთბაშად არა გაკეთდება-რაო.

—

აი რა გვარს მდგომარეობაშია ოტტომანის იმპერიის სამხედრო უწყება.

სამხედრო სამინისტროსა და ცალკე საარტილერიო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვით გასავალი 1894—1895 წ. საშუალო რიცხვით გამოანგარიშებულია— 7.000,000 გირვანქა.

საზოგადოდ რიცხვი ჯარის კაცთა მშვიდობიანობის დროს, ამათ რომ ზედ დავამატოთ სხვა-და-სხვა ცენტრალურ სამმართველოთა და მათ გამგეობის ქვეშ მყოფ ფაბრიკებისა, ქარხნებისა, სკოლებისა, საწყობებისა და სხვა დაწესებულებათა მსახურნი, სულ 220,000 ან 225,000 კაცი იქნება. ჯარის გაწყობილი ნაწილი სულ არ აღემატება 175,000 კაცს. ხმელეთის ჯარი მშვიდობიანობის დროს შეადგენს 7 არმიის კორპუსსა და სამს ცალკე დივიზიას: გეჯასისას, ტრიპოლისასა და კრიტოსისას. რაც შეეხება ოსმალეთის ხმელეთის ჯარს ომიანობის დროს იგი გამოიყვანს 400,000 კაცს სულ სამის კვირისა ან ორის კვირის განმავლობაში. ხოლო თუ გაუჭირდება ომის დროს და ყოველს ძალას დაიტანს როგორც ზნეობრივად ისე ნივთიერად, მაშინ კვლავ შეუძლიან გამოიყვანოს 400,000 კაცი და მაშასადამე, სულ 800,000 კაცი ეყოლებაო. მაგრამ ამაზედ მეტს ჯარს-კი ვეღარ გამოიყვანს.

სამხედრო-საინჟინერო სამუშაოს მხრივ შემდეგი ცნობები არსებობს ბოსფორის ციხე-სიმაგრეების ახალის გეგმით გაძლიერების შესახებ.

გეგმაში აღნიშნულია; 1) უნდა შეკეთებულ იქმნას და გაძლიერდეს ბოსფორზედ პირველის პოზიციის ციხე-სიმაგრეები, ანადოლი-კავაკთანა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა საომარი ადგილები; 2) ხსენებული ციხე-სიმაგრეები უნდა ახალის ზარბაზნებით შეიარაღდეს, რომლებიც ამ ჟამად სტამბოლის თოფხანაში აწყვია; დღევანდელი იარაღებით-კი სამი ახალი ადგილი გამაგრდება, რომლებიც ზღვის პირად შენდებიან; 3) ბოსფორის სრუტეს სხვა-და-სხვა ადგილებში მსწრაფლ-სასროლი ზარბაზნები უნდა დაეწყოს და 4) პირველ გამაგრებულ პოზიციის ზემოდ სრუტე ასაფეთქებელ საშუალებებით იქმნას შეკრული. გარდა ამისა, როგორც უკვე ვუწყით, ამ ბოლო დროს საკორპუსო შტატები ტელეგრაფით არიან შეერთებულნი სხვა-და-სხვა ადგილების სამმართველოებთან. ამ ჟამად არზრუმის ოლქში ახალ სამხედრო გზა-ტკეცილების გაყვანასაც მიჰყვეს ხელი.

ყველა ეს ცნობები ოფიციალურ წყაროებიდგან არის ამოღებული და „რუსკი ინვალიდ“-ი დიდად სარწმუნოდ სთვლის მათ.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გაზეთების სიტყვით ინგლისის პარლამენტის სხდომები დაიწყება 31 ივლისს. პირველ სხდომებზედ პარლამენტი განიხილავს და დაამტკიცებს ამ წლისთვის ზოგიერთ საჭირო ხარჯს; შემდეგ პარლამენტი დაიშლება შემოდგომამდე; შემოდგომაზედ განხილულ იქნება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. თვისს პროგრამას სამინისტრო წარმოადგენს მხოლოდ 1896 წ. თებერვალში.

—

**ესპანია.** კუბაზედ აჯანყებულნი კვლავ თავგამოდებით იბრძვიან თავისუფლების მოსაპოვებლად. გაზ. „ტაიმსი“, რომელსაც ჰავანნიდგან ამბავი მოდის ამ საქმის შესახებ, ამბობს, რომ მარშალი კამპოსი უფრო მეტად იყო დამარცხებული, ვიდრე აქამდის ეგონათ; მისი ჯარი თითქმის მთლად ამოწყვიტეს, თვით დასჭრეს და კინაღამ ტყვეთაც არ ჩაუვარდათ ხელში აჯანყებულთ. კამპოსმა შვიდის ოფიცერით ძლივ-ძლივობით მიაღწია ბაიამომდის. აქმას ალყა შემოარტყეს, მაგრამ გამოსახსნელად მიეშველა ესპანიის ჯარი.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ აჯანყებულნი მზათ არიან იარაღი დაჰყარონ, თუ ესპანია კუნძულს ავტონომიას მიანიჭებს ესპანიისავე პროტექტორატობის ქვეშაო. მაგრამ მადრიდში ამას ყურს არც-კი ათხოვებენ. მინისტრ პრეზიდენტი კონოვასი დარწმუნებულია, რომ აჯანყება შემოდგომ ზედ უეჭველად მოსპობილი იქნება, მანამდის კი, მისის აზრით, ესპანიის ჯარმა უნდა მოიგეროს აჯანყებულნი.

—

**საფრანგეთი.** როდესაც ფრანგები ამზადებდნენ ჯარს მადაგასკარზედ გასაგზავნათ, მათ ძლიერ ადვილი ეგონათ ამ კუნძულის დაპყრობა. ამიტომ პარიზში და მარსელში იქ წამსვლელთ ოფიცრებს ასრულებდნენ ყვა...

---

განვე ქრისტიანებისადმი ზიზღში აღზრდილს მხოლოდ გიაურების აწყვეტა უნდოდა. ამითი მას სრულიად არ უნდოდა ალახისათვის სასიამოვნო საქმე ჩაედინა, რადგან ალახი ამას არ თხოულობდა, მაგრამ ზიზღს მისი გრძნობა-გონება მთლად დაეჩრდილა. ლოცულობდა მოლა და სთხოვდა ალახს ეპატიებინა შეცოდებანი.

სულეიმანმა გაათავა ლოცვა, მეჩეთის კარები დაკეტა და საჩქაროდ შინისაკენ გაემგზავრა. სახლში მოლას მუეზინი ელოდებოდა.

— რამ დაგაბრკოლა, მამაო? ჰკითხა ახალგაზდა თანაშემწემ სულეიმანს, რამდენი ხანია აქ გელოდები, აქეთ-იქით გეძებე და ვერსად გიპოვე.

— მეჩეთში ვიყავ, უპასუხა მოლამ და მაშინვე ლაპარაკის გადასხვაფერებისათვის ჰკითხა:

— ხვალისათვის ყველაფერი მაამზადე საფარ?

— ყველაფერი, მეჩეთიდამ ყორანი წამოვიღე. აგერ შენს ტახტზედ დევს.

— კარგი, ეხლა შეგიძლიან წახვიდე, მხოლოდ ეცადე, ხვალ მოადრეებით ადგე, მე მინდა მინამ დაცხება, ყველაფერი გავათავოთ.

— ნუ შესწუხდებით, არ დავიძინებ! განა სახუმარო საქმეა? თანაშემწემ მოლას თავი დაუკრა და სახლიდამ გავიდა. სულეიმანი მარტო-ხელი კაცი იყო. კარგა ხანი იყო, რაც ყველა ნათესავები დაეხოცნენ. ერთად-ერთი თვის მოსწავლე ძმისწულიც წარსულის წლის ომში მოჰკლეს. მოხუცი საშინლად შესწუხდა, ძმისწულის სიკვდილი რომ შეიტყო. გაფთრეული მოხუცი საქართველოს, სადაც მისი ძმისწული მოკვდა, წყევა-კრულვას უთვლიდა, სწყევლიდა აგრეთვე მაჰამედ-ალას, რომელსაც უომოდ არ შეეძლო ცხოვრება და აზრად აკლება-აოხრება ჰქონდა. რაკი მოლამ სიყვარული თვისს გულშივე დაჰმარხა, მთლად ალახის სამსახურს მიეცა და მთელი დღე ყორანის კითხვაში იყო. ყოველს ცხოვრებითს სიბრძნეს ამ წიგნიდამ იღებდა და თვის ცხოვრების აზრად ყორანის სწავლა გაიხადა.

სულეიმანმა ლოცვა-მარხულობით ხალხს შეაყვარა თავი და თვით ხალხიც მისს უფროსობას სამძიმოდ არ სთვლიდა. აგერ ათი წელიწადი მიდიოდა, რაც სულეიმანი სოფელში მამასახლისად იყო და მის წინააღმდეგ კრინტიც არავის დაუძრავს.

მარტოდ დარჩენილი სულეიმანი ყორანის კითხვას შეუდგა. არა ერთხელ გადაეკითხა მას ყორანი, მაგრამ ყოველთვის გატაცებით კითხულობდა, სახე სიამოვნებით ემოსებოდა ხოლმე, როცა-კი ყორანს ხელში აიღებდა. წინადვე ნამაზს გაიკეთებდა, ყოველ მიწიერ ცხოვრებითს ფიქრს უკუ აგდებდა და მთლად კითხვას მიეცემოდა ხოლმე. ირგვლივ შეურყეველი სიჩუმე სუფევდა, ყველას ეძინა, მხოლოდ გამხმარი მოხუცის ტუჩები გატაცებით იმეორებდა:

„ლა ილ ლა ილ ალახ მაჰმედ რახულ ალახ!“ ეს რომ წაიკითხა მოლა, უცებ ჩაფიქრდა: „არ არის ღმერთი, გარდა ღმერისა და მაჰმედი იმისი მოციქული!“.

— ეს მართალია, მაგრამ ჩემი და მართლ-მორწმუნეთა რჯული წმინდაა? ჰო! ალახო! ამიხსენ ეს იჭვნეულობა!

არა ერთხელ დაფიქრებულა სულეიმანი და თავისათვის უკითხავს, მართლა წმინდა რჯული სწამს მას თუ არა! ყორანის ტაიპი აღელვებს სულეიმანს: „ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილეთ ურწმუნონი“, ამბობს ყორანი.

— არა ბრძენო ალახო! ეს ტაიპი ვერ შემიგნია, გთხოვ ცოდვილს მაცოდინო. ამ სიტყვებით მოხუცი წამოდგებოდა ხოლმე, კვლავ ნამაზს გაიკეთებდა და მუხლ-მოდრეკილი, თავ-ჩაღუნული იდგა ხოლმე... როცა ასე გაშტერებული რჩებოდა სულეიმანი, მისდა უნებურად თვალებში ცრემლი ერეოდა. მოხუცს ლოცვაში დილამ მოასწრო. მთელი ღამე არა სძინებია და ალახს ევედრებოდა, რომ გამაცოცხლებელი წვიმა მოეყვანა და ქვეყნიერობა გვალვისაგან დაეხსნა. მზის სხივმა რომ ფანჯარაში შემოანათა, მოლა უკვე ფეხზედ იყო.

მოლამ ცოტა არ იყო მოისვენა და თუმცა მთელი ღამე არ ეძინა, მოღლილობას სრულიად არა გრძნობდა.

— ასე ამხნევებს ლოცვა ადამიანს, ფიქრობდა მოლა სახლიდგან რომ გამოდიოდა.

სულეიმანი მეჩეთთან რომ მივიდა, ხალხი მინდორში წასასვლელად უკვე მოგროვილიყო. მოლას დანახვას უმალ ხალხი გაჩუმდა და მდაბლად მიესალმა მომავალს მოლას. სულეიმანი დამშვიდებული-კი იყო, მაგრამ სახე შეჭმუხვნილი ჰქონდა.

— მშვიდობა თქვენთან, ჩემო ძმებო! მიესალმა ხალხს მოლა. ეხლავ ჩვენ მინდორში წავიდეთ ალახის სავედრებლად და მისი დაუთურგვნელი ძალის იმედი მაქვს შეგვიბრალებს და ჩვენს ვედრებას შეისმენს, წავიდეთ მეგობრებო.

მოლა წინ გაუძღვარა და უკან აუარებელი ხალხი დაედევნა. სოფელი გამოყრუვდა, სახლში მარტო დედაკაცები და ბავშვები-ღა დარჩნენ. ტყვე ქართველებს ხომ ადამიანებად არა სთვლიდნენ. სოფლიდამ ორი ვერსი რომ გასცილდა, მოლა შედგა. საშინლად ცხელოდა: მზე ისე ძლიერად იბინებოდა, რომ უშველებელი თათრული ტყავის ქუდებიც-კი ვეღარას შველოდა თათრებს. ლოცვის დროს სიცხისაგან სამი კაცი გარდაიცვალა; კარგა ხან ლოცულობდნენ თათრები, ევედრებოდნენ ალახს, მაგრამ წვიმა არსად მოსჩანდა. ცა უფრო გაკაშკაშდა, ერთი მცირედი ღრუბლის ნაჭერიც-კი არსად სჩანდა და წვიმის იმედი სრულიად ამაო იყო.

შუაგულ მინდორში დაჩოქილმა მოლამ ხელები ცისკენ აღაპყრო და ღაღადებით წამოიძახა:

— აჰ! დიდებულო ალახო! შენი მონები ვართ, შეგვიბრალე ცოდვილები და უბედურებისაგან დაგვიხსენ! მეტი ლაპარაკი აღარ შეეძლო მოლას. ტუჩები აუკანკალდა სიბრაზისაგან, თვალები ანთებოდა და რომ თვისი სისუსტე დაეფარა, ხალხს მიუბრუნდა. მეგობრებო და ძმებო, ილოცეთ და თითოეულმა თქვენგანმა აღთქმა დასდეთ ალახის სადიდებლად და იგიც თვის საკვირველ მოქმედებით უბედურებიდამ გვიხსნის. მინდორში სიჩუმე ჩამოვარდა. ათას ხუთასი კაცი ცას მისჩერებოდა და ალახს ევედრებოდა. კარგა ხანს ლოცულობდნენ თათრები და მხურვალეთ სთხოვდნენ ალახს შებრალებას, მაგრამ ყოვლად შემძლებელი ალახი მათს ვედრებას არ ისმენდა. მზემ თითქოს უფრო ცხარედ დაიწყო კბენა.

იმედ გაცრუებული თათრები გაბუტულებსავით დაბრუნდნენ სახლში. სულეიმანი ხომ მთლად შეიცვალა. სახე მთლად გაჰმწვანებოდა და მოუთმენლად ბუტბუტებდა.

— შეძრწუნდით გიაურებო! თქვენი უკანასკნელი წამი დადგა. წაილაპარაკა მოლამ სახლში რომ მივიდა. ხვალ პარაკლისს იმათ გადავახდევინებთ და თუ ალახი არ შეგვეწევა, მაშინ... მეტი მწუხარედ იყო მოლა. მოციქულისადმი რწმენა თითქოს შეერყა კიდეც.

— რისთვის, რისთვის, — იმეორებდა იგი, — გვახოცინებს ხალხს? რატომ არ გინდა დაგვიხსნა, ყოვლად შემძლებელო ალახო! მაგრამ შენს უღირსს მონას აპატიე... ვეღარ შეიმაგრა თავი მოხუცმა მოლამ და ბავშვივით ქვითინს მოჰყვა...

ი. კახელი.

(დასასრული იქნება).

ვილეჩს და ისე შეჰხაროდნენ, როგორც უკვე ომიდამ დაბრუნებულ ძლევა მოსილ მეომართ.

გავიდა მას შემდეგ ოთხი თვე და ფრანგები მჰხვდნენ, რომ მათი აღტაცებული სიხარული უსაფუძვლო იყო.

მათდა საუბედუროდ, ჯარი შუა-გზაზედ გაჩერდა. თუმცა მადაგასკარელნი ფრანგების დანახვაზედ კურდღლებივით გარბოდნენ, მაგრამ მათ მაგიერ მტერს შეებრძოლა მათი სამშობლოს მიუვალი, ჭაობიანი ადგილები ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მათდა სასარგებლოდ მოიმართა საფრანგეთის სამხედრო მინისტრის და საზღვაო მინისტრის პოლიტიკა.

ფრანგთა ჯარი ვერ იტანს იქაურს ჰაერს, საავადმყოფოები სავსეა ავადმყოფებით, ბევრს საფრანგეთშიაც ჰგზავნიან. სურსათი დროზე ვერ მისდით უგზოობის გამო. ამასთან ერთად მინისტრთა ურთიერთ შორის განხეთქილება უფრო აორკეცებს გაჭირვებას.

საფრანგეთში დიდად გაჯავრებულნი არიან ექსპედიციის ორგანიზატორებზედ და თუ მთავრობა ოქტომბის გასვლამდე საქმეს არ დააბოლოვებს, დიდი რისხვა დაატყდება მას თავზედ საზოგადოებისაგანაო,— ამბობს გაზეთი „ტაიმსი“.

---

### წერილი რედაქციის მიმართ.

სოფელ ბრეძაში მკათათვის 23 ს გამართული იქმნა ლატარია საქალებო სკოლის სასარგებლოდ, რომელიც არსდება ტფილისში. ეს საქველ-მოქმედო საქმე ნინო დავითის ასულის მუსხელაშვილის თაოსნობით მოეწყო და ლატარიას მრავალი საზოგადოება დაესწრო. ამისთანა დროს გატარება ჩვენს მხარეში მეტად იშვიათია, ამისათვის ქ-ნი ნინო დავითის ასული დიდის მადლობის ღირსია ყველასაგან.

სანდრო ბაგრატიონ-დავითიშვილი.

---

გიგზავნით ჩემდამი სოფ. ახალქალაქში შეგროვებულს ხუთს მანეთს არტისტის კლად. მესხიშვილის გარდასაცემათ და უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოაცხადოთ სია შემომწირველთა:

მღ. იოანე ელისაბედაშვილი 1 მან., თავ. გიორგი ივანეს ძე თარხნიშვილი 1 მან., კნ. დარიკო თარხნიშვილი 1 მან., გ. ი. თარხნიშვილი 1 მან. და თ. კ. 1 მან., სულ 5 მან.

თ. კეზელი.

1895 წ., 21 ივლისს, სოფ. ახალქალაქი.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ივლისი.

**პეტერბურგი.** გამოეცხადა იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის მადლობა იულია ბაზანოვისას და ბარბარე კელხს, რომელთაც შესწირეს 507 ათასი მანეთი უკანონო ყრმათა აღსაზრდელ დაწესებულებას ირკუტსკში.

**ვენა.** იშლში თავმოყრილნი არიან ამ ჟამად: იმპერატორი ფრანც-იოსები, რუმინიის მეფე-დედოფალი, ავსტრი-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრი და გერმანიის ელჩი.

**შანჰაი.** ფუკიენის პროვინციაში ხალხი აჯანყდა. აჯანყებულთ ამერიკის სასულიერო დაწესებულება დასწვეს; უცხოელთა დასაცველად მოწვეულია სამხედრო გემები.

---

### „ივერიის“ ფოსტა.

„ს. ნ—ს. ლი—ი.“ ბ-ნს ი. კალ—ლს: თქვენის წერილის შესახებ რედაქცია მხოლოდ მასვე გეტყვით, რაც გამოცხადებულიცა გვაქვს ერთხელ და სამუდამოდ. წვრილს წერილებს რედაქცია არ ინახავს. შეიძლება ისიც, რომ თქვენი წერილი სრულიადაც არ მიგვეღოს,—ან თუ მივიღეთ, რომელიმე მიზეზის გამო ვერ დავბეჭდეთ.

---

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი **ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6 სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**მამის ერთგული**

მოთხრობა ყმაწვილებისათვის, ქრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.

ფასი 15 კ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცამარილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხეთამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილაისა . . . . . . . | „ | 10 |

---

სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუჩაროვს, ტფილისს.

(24—1596—)7.

---

**წმინდა ქინაქინა, გოგირდმჟავი და მარილმჟავი**

ყოველთვის შეიძლება ეს უსაჭიროესი ყოველის ოჯახისათვის სამკურნალო საშუალება შინ იქონიოს, ისყიდება საკმაოდ იაფ ფასად ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილ ვაჭრებთან პროვინციებში.

**ამხანაგობისა რ. კёლერისა და ამხ. მოსკოვში.**

ამხანაგობა თავდებია პრეპარატების ქიმიურად სისუფთავისა. აუცილებელი პირობა: უნდა მოითხოვოთ, რომ ყოველს წამლის მინაზედ ფირმისა და ამხანაგობის ნიშანი იყოს ახალის მავთულის ბადეთი, რომელზედაც ამხანაგობის (რ. კ. და ამხ.) პლომბა იქნება.

(2—31—1).

---

ისყიდება ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული



**სურათებიანი** წიგნი

**ელექტრონი**

და

საოცარი მანქანები

შედგენილი მ. იანქოშვილისაგან.

გამოცემული ნიკოლოზ ქარუმიძის მიერ.

**ფასი ერთი აბაზი.**

ვინც ოც წიგნზედ მეტს იყიდის, იმათ თითო სამ შაურად დაეთმობათ.

---

**პ. ს. დოროფეევი** (იაროსლავიდგან).

სასახლის ქ. ახალი სახლი სარაჯევისა, ეზოში.

ჩემ მიერ ახლად გახსნილს მაღაზიაში ვურჩევ ისარგებლონ და იყიდონ

**იაფ ფასად**

ბაქოს იარმუკობაზედ დარჩენილი საქონელი: ნამდვილი იაროსლავური ტილო, ხელით ნამუშავარი, პერანგებისა, პერანგის ამხანაგებისა, ზეწრებისათვის და სხ. ყველა ფასებისა; ისყიდება აგრეთვე სტოლის საფარებელი ხელსახოცები, ნაქსოვი საპნები, ხავერდის ნოხები, სუფრები და ტილოსი და ბამბეულობის საქონელი.

ეს ვაჭრობა სულ მცირე ხანს იქნება და ზემოდ აღნიშნული სავაჭრო დანიშნულ ფასზედ ნაკლებად არ გაისყიდება. (1—1644—1).

---

**დამზღვევი საზოგადოება**

**„იაკორი“**

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში (100—721—>)


Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Іюля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედ.-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.